ნათია ფირცხალავა

საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელოვანი პერიოდი - „დიდი ტერორი“

„...სათნოებისა და ღირსების გარეშე ტერორიზმი ფატალურია; ტერორიზმი ღირსების გარეშე უძლურია. ტერორი სხვა არაფერია, თუ არა სამართლიანობა, სისხარტე, სიმკაცრე, სიმტკიცე...“ (რობესპიერი)

		
მაქსიმილიან რობესპიერი	დანტონი	მარატი
„ყველა რევოლუცია ჭამს თავის შვილებს“	„ჩვენ უნდა გავბედოთ, და კიდევ გავბედოთ და მუდამ გავბედოთ“	„ღმერთი ყოველთვის მოწყალეა ღარიბების მიმართ“
იყო ნიჭიერი ადვოკატი, გასაოცარი ენერგიის პატრონი, განათლებული და ნაკითხი, მაგრამ, ამავე დროს, ულმობელი.	*ცნობილი იყო თავისი შეუხედაობით. იგი ორჯერ დაჩეხა ხარმა.*	*შეუხედაობასთან ერთად იგი განთქმული იყო ბილწსიტყვაობითაც. იტანჯებოდა კანის იშვიათი დაავადებით და ხშირად მხოლოდ აბაზანაში პოვებდა სიმშვიდეს.*

კითხვები:

• რომელმა გამონათქვამმა მიიქცია შენი ყურადღება? რატომ? (ახსენი პასუხი)

• შენ რომ საფრანგეთის რევოლუციის ლიდერი ყოფილიყავი, როგორ სლოგანს წარმოადგენდი? (შექმენი და იმსჯელე)

წყარო ა: პოლიტიკური კარიკატურა

ანონიმი მხატვარი - **„ეს შემზარავია, მაგრამ აუცილებელი“**
ფრანგული ჟურნალიდან „d'Autre Monde“, 1794

წყარო ბ: პოლიტიკური კარიკატურა

* იმსჯელე კარიკატურის (წყარო ა-ს) შესახებ. მსჯელობისას ყურადღება მიაქციე ადამიანებს, დააკვირდი მათი სახის გამომეტყველებას - მიმიკებს - და ახსენი ასეთი გამოხატვის მიზეზი. როგორ ფიქრობ, რა უნდა იყოს წარმოდგენილი ცენტრში? დაასაბუთე. მიაქციე ყურადღება კარიკატურის წარწერას. იმსჯელე მის შესახებ. გამოხატე საკუთარი დამოკიდებულება (მასწავლებელს შეუძლია, მოიხმოს ანალოგია - ატომური ბომბების ჩამოყრას ჰიროშიმასა და ნაგასაკიში ამერიკამ „აუცილებელი ბოროტება“ უწოდა. რატომ? ეთანხმებიან? არ ეთანხმებიან?)

* იმსჯელე კარიკატურის (წყარო ბ-ს) შესახებ, მიაქციეთ ყურადღება დეტალებს და ეცადეთ ახსნათ მათი მნიშვნელობა, ბოლოს კი უპასუხეთ მთავარ კითხვას: რა მიზანი ჰქონდა ამ კარიკატურის შექმნას?

* შეადარეთ კარიკატურები ერთმანეთს, წერილობით აღნიშნეთ მსგავსებები და განსხვავებები.

რა ბედი ეწია თითოეულ ლიდერს?

დანტონი არ ეთანხმებოდა მარატს და რობესპიერს, რომ ჟირონდელები უნდა დასჯილიყვნენ როგორც რევოლუციის მოღალატენი, ამიტომ იგი ჩამოაშორეს მთავრობას. დანტონი დარწმუნებული იყო, რომ რობესპიერი მის წინააღმდეგ არ წავიდოდა, მაგრამ შეცდა. მეორე დღეს იგი გაგზავნილ იქნა გილიოტინაზე. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: ***„სამარცხვინო რობესპიერ! ეშაფოტი გელის შენც! შენი სახლი განადგურდება! შენ მე გამომყვები!“***	
ჟან პოლ მარატი საკუთარ აბაზანაში მკერდში დანის ჩაცემით მოკლა შარლოტ კორდიემ.	
რობესპიერს თანამედროვეები მეტსახელად „მოუსყიდავს“ უწოდებდნენ. 1793 წელს მან რევოლუციის მტრების წინააღმდეგ ტერორი გამოაცხადა. 1794 წლის 27 ივლისს ჩამოაგდეს და მეორე დღეს თანამებრძოლებთან ერთად გილიოტინაზე თავი მოჰკვეთეს. მის საფლავის ქვას აწერია: ***„მგზავრო, ნუ ინანებ ჩემს სიკვდილს, რადგან მე რომ ცოცხალი ვყოფილიყავი, შენ იქნებოდი მკვდარი“.***	

შეუძლებელია ზუსტად ითქვას, რამდენი ხალხი დაისაჯა სიკვდილით. არსებობს ვერსია, რომ გილიოტინაზე მოხვდა 12 000-ზე მეტი ადამიანი, თუმცა ბევრი დასაჯეს ჩამოხრჩობით და სხვა გზით. ტერორი იყო ყველგან და ყველაფერში. ამ 12 000-დან 1031 არისტოკრატი იყო, 2923 - საშუალო ფენის წარმომადგენელი, 674 - სასულიერო პირი; 7878 - გლეხი და მუშა; დანარჩენების წარმომავლობა უცნობია.

დისკუსია: რას ფიქრობ ამ ფაქტების შესახებ? პროგრესი თუ რეგრესი? თუ მხოლოდ სტატისტიკა?

წყარო ა

გილიოტინა, სამართლიანობის ახალი ინსტრუმენტი, ამუშავდა. საჯარო დასჯა საზოგადოების განსახილველ თემად იქცა. ქალები მას როგორც სანახაობას ისე

უყურებდნენ და თან ქსოვდნენ. რევოლუციურმა ტრიბუნალმა პარიზში 1794 წლის ივლისში 2 400 კაცის სასიკვდილო განაჩენი გამოსცა. მთელ საფრანგეთში კი 30 000-მა ადამიანმა დაასრულა სიცოცხლე „რევოლუციის მომავლისთვის“... ასე ებრძოდნენ „რევოლუციის მტრებს“, რათა თავიდან აეცილებინათ კონტრრევოლუცია, თუმცა სიკვდილით დასჯილთა უმრავლესობა არისტოკრატი არ ყოფილა - უბრალო ხალხის წარმომადგენელი გახლდათ. ტერორის ორგანიზატორად, სულისჩამდგმელად და ამ დიდი მანქანის ამმუშავებლად რობესპიერი მიიჩნევა.

გილიოტინა

გილიოტინა (ფრანგ. Guillotine) - სიკვდილით დასჯის იარაღი. შემოიღეს საფრანგეთის რევოლუციის დროს ეგრეთ წოდებული „რევოლუციის მტრების“ დასასჯელად. სწორედ გილიოტინაზე დასაჯეს საფრანგეთის მეფე ლუი XVI. სავარაუდოდ, მხოლოდ ამ პერიოდში 35 ათასი კაცი ავიდა გილიოტინაზე. გილიოტინის მასობრივი გამოყენება უკავშირდება მაქსიმილიან რობესპიერის სახელს და მის მიერ დამყარებულ დიდ ტერორს. ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ თავად რობესპიერიც გილიოტინაზე დასაჯეს.

მსგავსი მექანიზმით მოქმედ მანქანას მანამდეც იყენებდნენ შოტლანდიასა და ირლანდიაში, XVIII საუკუნის ბოლოს კი, ფრანგი ექიმის ჟოზეფ გილიოტენის წინადადებით, მისი გამოყენება საფრანგეთშიც დაიწყეს. გილიოტინა წარმოადგენს კადონით დამაგრებულ ორ ვერტიკალურ სვეტს, რომელთა შორის სამკუთხა ფორმის მოძრავი ბასრი ნაჯახის პირია ჩასმული. ნაჯახი მთელი ძალით ეცემა და თავს კვეთს სიკვდილმისჯილს.

გილიოტინა გახდა საფრანგეთის რევოლუციის ერთ-ერთი სიმბოლო. რევოლუციის შემდეგ ის ხმარებიდან არ ამოუღიათ. მას სიკვდილით დასჯისთვის კიდევ რამდენიმე ქვეყანაში იყენებდნენ.

გილიოტინა 1738-1814



აქტივობა: არგუმენტირებული ესე

გილიოტინის თაობაზე აზრი დღესაც ორად იყოფა. ზოგს მიაჩნია, რომ ეს „ბოროტების მანქანაა“, რომლის ამუშავებისას მკვლელი აზარტში შედის და მკვლელთან ერთად - სახელმწიფოც, ზოგი კი ფიქრობს, რომ გილიოტინა იმხანად სიკვდილით დასჯის ყველაზე ჰუმანური მეთოდი იყო. დებატები დღესაც მიმდინარეობს. როგორც ისტორიკოსი ალექს დე ტოკვილი (მე-19 საუკუნე) ამბობდა, „რევოლუციები არასოდეს აღაფრთოვანებს“. დღემდე მიმდინარეობს კამათი როგორც საფრანგეთის რევოლუციის მნიშვნელობაზე, ასევე იმაზეც, შეიძლება თუ არა, გილიოტინა მნიშვნელოვან რეფორმად ჩაითვალოს საფრანგეთში და, საზოგადოდ, ევროპაში.

რჩევა მოსწავლეს:

* წერილობით გამოხატე შენი მოსაზრება. დაწერე შესავალი, რომელშიც გააკეთებ მოკლე ისტორიულ მიმოხილვას, მაგრამ ისტორიამ არ გაგიტაცოს, ყოველთვის გახსოვდეს, რა თემას წერ და რატომ. მოიყვანე (მინიმუმ) ორი ურთიერთსაპირისპირო არგუმენტი. დასკვნა რადიკალური ნუ იქნება, ეცადე, დაიცვა ბალანსი. კრიტიკული ხედვა, სასურველია, დასკვნაშიც გამოამჟღავნო. პარალელები თემაში არაჩვეულებრივია, მაგრამ მათი მეშვეობით მხოლოდ მთავარი სათქმელი უნდა გამოთქვა, ამიტომ ახსენი, რატომ გინდა ამ ანალოგიის გამოყენება, რის მანიშნებელია ეს? დასკვნაში ახალ ფაქტებს ნუ მოიყვან.